ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #6

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს1" ქვეპუნქტი)

ქ. თბილისი

„13 " სექტემბერი 2016 წ.

ა(ა)იპ - **სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა** (მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, 709577519, სკ-429322985), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად'', წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ეკატერინე კორძაიას** სახით და **შპს "კომპანია Geosm"** (მის: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14 , საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ ბანკი"; ბ/კ MIBGGE22; ა/ა GE45PC0223600100010827; ს.კ. 404873614) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ახობაძეს** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათშორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში_„ხელშეკრულება") _შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"_კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"–ორგანიზაცია, რომელიცახორციელებსშესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიცახორციელებსსაქონლის მიწოდებასამხელშეკრულებისფარგლებში.

1.6 „საქონელი"_ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPV22800000)

3. ხელშეკრულების ღირებულება, ვადები და მიწოდების ადგილი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **178.91 (ას სამოცდათვრამეტი და 91 თეთრი)ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ გადასახადს დღგ-ს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათშორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 საქონლის მიწოდების ბოლო ვადა: **2016 წლის 14 სექტემბერი.**

3.5 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, წყალსადენის ქ. N13

4. მხარეთამოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი (დანართი N1-ის შესაბამისად).

ბ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა)უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ ზოგად სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: ააიპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.
6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები მოწვეულიე ქსპერტი) უფლებამოსილია, ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და თუ აღმოჩნდება წუნი მიწოდებულ საქონელში მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში გამოასწოროს წუნი.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს: ააიპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა_ლარი.
8.2 ანგარიშსწორების ფორმა_უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადოა ნგარიშ-ფაქტურის (დღგ-ის გადამხდელის შემსთხვევაში) წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთაგამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
1.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
1.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
11.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთაშორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისან/დამიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17. მხარეთარეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა	შპს "კომპანია Geosm"
მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური	მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14
ტელეფონი:	ტელეფონი: 555 523939
საბანკო რეკვიზიტები: 709577519	საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ ბანკი";
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	ბ/კ MIBGGE22; GE45PC0223600100010827;
სკ-429322985	ს.კ. 404873614
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
ეკატერინე კორძაია	თეიმურაზ ახობაძე

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	ფაილი A4 (100 ცალიანი)	3 შეკვრა	2.65 ლარი	7.95 ლარი
2	ბაინდერი განიერი A4	90 ცალი	1.88 ლარი	169.20 ლარი
3	საკანცელარიო ჟურნალი	2 ცალი	0.88 ლარი	1.76 ლარი
			სულ:	178.91 ლარი

შემსყიდველი

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
მისამართი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა გუდაური
ტელეფონი:
საბანკორეკვიზიტები: 709577519,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
სკ-429322985

მიმწოდებელი

შპს "კომპანია Geosm"
მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14
ტელეფონი: 555 523939
საბანკო რეკვიზიტები: სს "პროკრედიტ ბანკი";
ბ/კ MIBGGE22; GE45PC0223600100010827;
ს.კ. 404873614

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე კორძაია

დირექტორი

თეიმურაზ ახობაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საქონლის შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ 2016 წლის 13 სექტემბრის N6 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების
განმახორციელებელი პირი

ეკატერინე კორძაია